

ავტობიოგრაფია

პირადი ინფორმაცია

დავიბადე 1978 წლის 21 იანვარს, დაბა ხარაგაულში.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

განათლება

2007 წელს დავამთავრე თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია“ - სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2012-2013 წლებში ვიყავი სსიპ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ჩავირიცხე იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

სამუშაო გამოცდილება

2001-2005 წლებში ვმუშაობდი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მბეჭდავ-ოპერატორად.

2005-2009 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხვადასხვა დროს მეკავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიუროს კანცელარიის სპეციალისტის, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ბიუროს კანცელარიის სპეციალისტისა და სხდომის მდივნის პოზიციები.

2009-2012 წლებში ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის რეფერენტი, მოსამართლის თანაშემწე.

2013-2014 წლებში ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კონსულტანტი.

2014 წლის 27 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში;

2014 წლის ივლისიდან მივლინებული ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1/45 გადაწყვეტილებით, 2017 წლის 27 მაისიდან უვადოდ დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.